სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა ერთი ბაღის მაგალითზე

მარიამ მესტვირიშვილი

ნინო ყაველაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი - ხათუნა დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ყაველაშვილი

მარიამ მესტვირიშვილი

23. 06. 2024

მადლობა

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლის დირექტორს - ქალბატონ ქეთევან ჩოქურს, კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს და ადმინისტრაციას თანამშრომლობისთვის. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში და კვლევის ჩატარებისთვის გაწეული დახმარებისთვის თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს - ასოცირებულ პროფესორ ხათუნა დოლიძეს.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევას, რომელიც ეხება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში შეუფერხებლად ტრანზიციის პროცესს. კვლევა ჩატარდა თბილისის კერძო საბავშვო ბაღში და სკოლაში, კვლევა ეხება როგორც ტრანზიციის ბარიერების იდენტიფიცირებას, ასევე შესაბამისი ინტერვენციების შემუშავებასა და განხორციელებას.

კვლევის პირველი ეტაპი ფოკუსირებული იყო ბავშვის ბაღიდან სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ პოტენციურ ბარიერებზე. ინტერვიუების, გამოკითხვების, დაკვირვებებისა და სამაგიდო კვლევის ერთობლიობა გამოიყენეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მშობლის, მასწავლებლებისა და სპეციალური განათლების პროფესიონალების შეხედულებების შესაგროვებლად. ამ საწყისმა ფაზამ გამოკვეთა მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა უცხო გარემო, ჩართულ მხარეებს შორის არათანმიმდევრული კომუნიკაცია და ბავშვის სპეციფიკური ქცევითი საჭიროებები.

მეორე ფაზაში შემუშავდა და განხორციელდა ინტერვენციები ამ გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად. ძირითადი ინტერვენციები მოიცავდა თანამშრომლობითი შეხვედრების ორგანიზებას ყველა ჩართულ მხარესთან - სპეციალური განათლების მასწავლებლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ბავშვის მშობელთან და ბავშვთან. კვლევამ ხელი შეუწყო ბავშვის ვიზიტს სკოლაში ახალი გარემოს გასაცნობად, მასწავლებლებსა და მშობელს შორის მოლოდინების გაცვლას. გარდა ამისა, შეიქმნა ინდივიდუალური გეგმა და ტრანზიციის დოკუმენტი ბავშვის მხარდაჭერის კონკრეტული სტრატეგიების გამოსაკვეთად. სკოლის თემატიკის საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო გარემოში ინტეგრირებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბავშვის ადაპტაციას.

ამ პროცესიდან განისაზღვრა სპეციალური რეკომენდაციები, რომელიც ხაზს უსვამს სტრუქტურირებული დაგეგმვის, თანმიმდევრული კომუნიკაციისა და სკოლის ახალ გარემოსთან თანდათანობითი ადაპტაციის მნიშვნელობას.

საერთო ჯამში, პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, რომ პროაქტიულმა, თანამშრომლობითმა ინტერვენციებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების ტრანზიციის გამოცდილება, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრი, პრაქტიკის კვლევა, საგანმანათლებლო ტრანზიცია, ინდივიდუალური გეგმა, ტრანზიციის მხარდაჭერა.

Abstract

The master's thesis is a practical research on the process of smooth transition of autistic childr from preschool to school. The study was conducted in a private kindergarten and public school in Tbilisi. It considered both, the identification of transition barriers as well as the development and planning of appropriate interventions.

The first part of the study focused on the potential barriers associated with a child's transition from kindergarten to school. Interviews, surveys, observations and panel discussions were used with key stakeholders including parents, teachers and learning specialists. This initial phase highlighted significant challenges, such as the unfamiliar environment, inconsistent communication between the parties involved, and the child's specific behavioral needs.

In the second phase, interventions were designed and implemented to address this identified challenge. Translational interventions included the organization of collaborative meetings with all parties involved - special education teachers, school teachers,the child's parents and the child himself. The research contributed to the child's visit to the school to get to know the new environment, the exchange of expectations between teachers. In addition, an individualized plan and referral document were created to map out specific child support strategies. The integration of the school theme into the educational environment of the kindergarten further contributed to the child's adaptation.

In this process, special plans have been defined, which emphasize the importance of specific structural planning, consistent communication and adaptation to the new school environment. Overall, case studies have shown that proactive, participatory interventions can significantly improve the transition experiences of children on the autism spectrum, promoting inclusive educational environments.

Key thematic keywords: autism spectrum, practical research, educational transition, individual plan, transition support.